საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/203-2007 „25“ სექტემბერი 2007 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

სასამართლოს მანდატურის სამსახურებრივი ფორმის ტანსაცმლისა და ატრიბუტიკის დამტკიცების შესახებ

1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 76^1 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე დამტკიცდეს სასამართლოს მანდატურის სამსახურებრივი ფორმის ტანსაცმელი და ატრიბუტიკა თანდართული ესკიზებისა და აღწერილობის მიხედვით.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს „სასამართლოს მანდატურის სამსახურებრივი ფორმის ტანსაცმლისა და ატრიბუტიკის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 22 მარტის №200 ბრძანებულების ძალადაკარგულად გამოცხადებისთანავე.

ვალერი ცერცვაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი

000423

დამტკიცებულია

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

2007 წლის 25 სექტემბრის № 1/203-2007

გადაწყვეტილებით

სასამართლოს მანდატურის სამსახურებრივი ფორმის ტანსაცმელი და ატრიბუტიკა

პ ლ ა ნ შ ე ტ ი 1

1. **დათბუნებული ქურთუკი** – საშუალო სიგრძის, მდგარი საყელოთი, საყელო – მოსახსნელი ბეწვით, გვერდითი გაჭრილი ჯიბეებით, მარცხენა კალთა შიგნით გაჭრილი ჯიბით, მარჯვენა მკლავზე სამკლავური ნიშნით, მარცხენა მხარეს – სამკერდე ნიშნით. ქურთუკის ბოლო მუშავდება რეზინიანი ქამრით მარცხენა და მარჯვენა მხარეებზე.

2. **პულოვერი უსახელო** – შავი ფერის ამოღებული გულით, არანაკლებ 50 პროცენტი ნატურალური ბოჭკო.

3. **პერანგი გრძელმკლავიანი და მოკლემკლავიანი** – ჩალისფერი, სახელო ჩაკერებული, რომელიც ბოლოვდება მანჟეტით. საყელო კლასიკური, ზურგის კალთა კოკეტკებზეა და კოკეტკის ქვევით კეთდება 2 მინაკეტი. მარჯვენა წინა კალთაზე ჯიბის ზემოთ ოქროსფერასოებიანი პლასტმასა სახელითა და გვარით, საყელოზე ორივე მხარეს ოქროსფერასოებიანი პლასტმასა წარწერით „სმს“, მარცხენა მხარეს სამკერდე ნიშნით, მარჯვენა მკლავზე სამკლავური ნიშნით. წინა კალთაზე 2 ჯიბეა განლაგებული მკერდის მიდამოებში, ჯიბეების შუაში ვერტიკალურად გასდევს ორმაგი მინაკეტი, ჯიბეების ზევით სარქველებია განლაგებული, არანაკლებ 50 პროცენტი ნატურალური ბოჭკო.

4. **მაისური** – თეთრი ფერის, 100 პროცენტი ნატურალური ბოჭკო.

5. **ჰალსტუხი** – კლასიკური, შავი ფერის, შერეული ბოჭკოს ქსოვილისაგან დამზადებული, რეზინის შესაკრავით.

6. **შარვალი** – კლასიკური, შავი ფერის, სწორი სილუეტის, წინა ნახევარზე ქამრის მიკერების ადგილას მინაკეტით, დახრილი ჯიბეებით, მიკერებული ქამრით, ქამარი დამუშავებულია კორსაჟით, 6 საქამრით, უკანა მარჯვენა ნახევარზე ორკანტიანი ჯიბით, შარვლის წინა ნახევრები დამუშავებულია სარჩულზე, 60 პროცენტი ნატურალური ბოჭკო.

7. **საზაფხულო ფეხსაცმელი** – შავი ფერის, ნატურალური ტყავის, კლასიკური ფორმის, დაბალი ყელით, დათბუნვის გარეშე.

8. **ზამთრის ფეხსაცმელი** – შავი ფერის, ნატურალური ტყავის, ნახევრადმაღალი, დათბუნებული, ჩამოსხმული ძირი, გამოყოფილი ქუსლი.



პ ლ ა ნ შ ე ტ ი 2

1. სამკერდე ნიშანი – შვიდქიმიანი ოქროსფერი ვარსკვლავი შავ დისკოზე, დისკოში გამოსახულია ოქროსფერი სასწორი და ოქროსფერი შემოკლებული წარწერა „ს მ ს“.

2. სამკლავური ნიშანი – შავ ველზე, რომელსაც გარს არტყია ოქროსფერი კანტი, გამოსახულია მინიატურული ოქროსფერი სვეტებიანი შენობა თავზე ოქროსფერი სასწორით და ოქროსფერი წარწერით „სასამართლოს მანდატურის სამსახური“.